

**საქართველოს თავდაცვის მინისტრის
ბრძანება N MOD 9 18 00000097
2018 წლის 12 თებერვალი ქ.თბილისი
სერჟანტთა სამხედრო პროფესიული განათლების
კონცეფციის დამტკიცების შესახებ**

„საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 12 დეკემბრის №580 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დებულების მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ბრძანება N MOD 2 19 00000350 06.06.2019 ძალაშია ხელმოწერის დღიდან;

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს თანდართული „სერჟანტთა სამხედრო პროფესიული განათლების კონცეფცია“.
2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.
მინისტრი ლევან იზორია

სერჟანტთა სამხედრო პროფესიული განათლების

კონცეფცია

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. საქართველოს თავდაცვის ძალების განვითარება მოითხოვს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს (შემდეგში - სამინისტრო) სისტემაში სერჟანტთა შემადგენლობისათვის სამხედრო პროფესიული განათლების თანამედროვე სისტემის შექმნას.

2. სერჟანტთა სამხედრო პროფესიული განათლება საქართველოს თავდაცვის ძალების მშენებლობის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს და იგი ეფუძნება NATO-ს და პარტნიორ ქვეყნებთან თავსებადი სამხედრო განათლების მიღებას, საწყისი სამხედრო განათლებიდან უმაღლესი სამხედრო განათლების ჩათვლით.

3. წინამდებარე კონცეფცია განსაზღვრავს და არეგულირებს სერჟანტთა შემადგენლობისათვის სამხედრო პროფესიული განათლების საგანმანათლებლო ციკლის თანმიმდევრობას და ეფუძნება „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“, „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონებს, საქართველოს თავდაცვის მინისტრის ხედვას, საქართველოს თავდაცვის ძალების განათლებისა და საბრძოლო მომზადების კონცეფციასა და სტრატეგიას.

ბრძანება N MOD 2 19 00000350 06.06.2019 ძალაშია ხელმოწერის დღიდან;

მუხლი 2. სერჟანტთა სამხედრო პროფესიული განათლების მიზანი

სერჟანტთა სამხედრო პროფესიული განათლების მიზანია:

ა) საქართველოს თავდაცვის ძალებში განათლებული, მაღალკვალიფიციური და სამეთაურო უნარ-ჩვევების მქონე სერჟანტთა შემადგენლობის მომზადება;

ბ) ინსტიტუციონალური და პროგრამული ბაზის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს სერჟანტთა საწყის, ძირითად, შუალედურ და უმაღლეს სამხედრო პროფესიულ განათლებას.

ბრძანება N MOD 2 19 00000350 06.06.2019 ძალაშია ხელმოწერის დღიდან;

მუხლი 3. სერჟანტთა სამხედრო პროფესიული განათლების პრინციპები

სერჟანტთა სამხედრო პროფესიული განათლების პრინციპებია:

ა) საქართველოს თავდაცვის ძალების სერჟანტთა შემადგენლობის სამხედრო პროფესიული განათლებისა და წვრთნების ერთიანობა, თანმიმდევრულობა და უწყვეტობა;

ბ) საქართველოს თავდაცვის ძალების სერჟანტთა შემადგენლობის სამხედრო პროფესიული განათლებისა და საკარიერო მართვის სისტემის ურთიერთთავსებადობა;

გ) პროფესიული, ზნეობრივი და ფიზიკური აღზრდის შერწყმა;

დ) საერთაშორისო სამხედრო საგანმანათლებლო სტანდარტებთან თავსებადობა.

ბრძანება N MOD 2 19 00000350 06.06.2019 ძალაშია ხელმოწერის დღიდან;

მუხლი 4. სერჟანტთა სამხედრო პროფესიული განათლების სისტემის ამოცანა

საქართველოს თავდაცვის ძალებში განათლებული, სამეთაურო უნარ-ჩვევების მქონე სერჟანტთა შემადგენლობის ჩამოყალიბება და მათი მომზადება სამხედრო-სააღრიცხვო სპეციალობათა შესაბამისად.

ბრძანება N MOD 2 19 00000350 06.06.2019 ძალაშია ხელმოწერის დღიდან;

მუხლი 5. სერჟანტთა საფეხურებრივი სამხედრო განათლების სისტემა

1. სერჟანტთა შემადგენლობის სამხედრო პროფესიული განათლების სისტემა შედგება ოთხი დონისაგან:

- ა) I დონე - სერჟანტთა საწყისი სამხედრო განათლება;
- ბ) II დონე - სერჟანტთა ძირითადი სამხედრო განათლება;
- გ) III დონე - სერჟანტთა შუალედური სამხედრო განათლება;
- დ) IV დონე - სერჟანტთა უმაღლესი სამხედრო განათლება.

ბრძანება N MOD 2 19 00000350 06.06.2019 ძალაშია ხელმოწერის დღიდან;

2. I დონე - სერჟანტთა საწყისი სამხედრო განათლება, ხორციელდება ორ ეტაპად:

ა) I ეტაპი - სერჟანტთა საწყისი სამეთაურო მომზადების პროგრამა:

ა.ა) **ზოგადი მიმოხილვა** - სერჟანტთა საწყისი სამეთაურო მომზადების პროგრამა ტარდება სერჟანტთა მომზადების ცენტრში და გულისხმობს უმცროსი სერჟანტთა საშტატო თანამდებობისთვის სამხედრო მოსამსახურეების სამხედრო განათლებას;

ა.ბ) **მიზანი** - სერჟანტთა საწყისი სამეთაურო მომზადების პროგრამა სამხედრო მოსამსახურეებს აძლევს ცოდნას და ავითარებს შესაბამის სამეთაურო უნარ-ჩვევებს უმცროსი სერჟანტთა საშტატო თანამდებობებზე მოვალეობის შესასრულებლად;

ა.გ) **მიიღებიან** - დაწინაურებისათვის შერჩეული კაპრალის ან კაპრალ-სპეციალისტის სამხედრო წოდების მქონე სამხედრო მოსამსახურეები, რომელთაც გავლილი აქვთ შერჩევის პროცედურები და საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი გვარეობისათვის არსებული სპეციალიზაციის კურსი.

ბრძანება NMOD 7 19 00000472 13.08.2019 ძალაშია ხელმოწერის დღიდან;

ბ) II ეტაპი - სერჟანტთა საწყისი სამხედრო სააღრიცხვო სპეციალობის მიხედვით მომზადების პროგრამა:

ბ.ა) **ზოგადი მიმოხილვა** - სერჟანტთა საწყისი სამხედრო სააღრიცხვო სპეციალობის მიხედვით მომზადების პროგრამები ტარდება შესაბამის სასწავლო ცენტრებში/სკოლებში და

გულისხმობს უმცროს სერჟანტთა სამტატო თანამდებობისთვის სამხედრო მოსამსახურეების სამხედრო სააღრიცხვო სპეციალობების მიხედვით სამხედრო პროფესიულ განათლებას;

ბ.ბ) მიზანი - სერჟანტთა საწყისი სამხედრო სააღრიცხვო სპეციალობის მიხედვით მომზადების პროგრამა სამხედრო მოსამსახურეებს აძლევს ცოდნას, რათა მათ საქართველოს თავდაცვის ძალების ქვედანაყოფებში, გვარეობების მიხედვით, შეძლონ უმცროს სერჟანტთა სამტატო თანამდებობებზე მოვალეობის შესრულება;

ბ.გ) მიიღებიან - კაპრალის და კაპრალ-სპეციალისტის სამხედრო წოდების მქონე სამხედრო მოსამსახურეები, რომლებსაც გავლილი აქვთ სერჟანტთა საწყისი სამეთაურო მომზადების პროგრამა.

შენიშვნა: პროგრამაზე ჩარიცხვის დამატებითი მოთხოვნები და პირობები რეგულირდება საქართველოს თავდაცვის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

ბრძანება N MOD 2 19 00000350 06.06.2019 ძალაშია ხელმოწერის დღიდან;

3. II დონე - სერჟანტთა ძირითადი სამხედრო განათლება - ხორციელდება ორ საფეხურად:

ა) სერჟანტთა ძირითადი სამხედრო განათლების I საფეხური, რომელიც ხორციელდება ორ ეტაპად:

ა.ა) I ეტაპი- სერჟანტთა ძირითადი სამეთაურო მომზადების პროგრამა

ა.ა.ა) ზოგადი მიმოხილვა:

სერჟანტთა ძირითადი სამეთაურო მომზადების პირველი საფეხურის პროგრამა ტარდება სერჟანტთა მომზადების ცენტრში და გულისხმობს სერჟანტთა სამტატო თანამდებობისთვის სამხედრო მოსამსახურეების სამხედრო პროფესიულ განათლებას;

ა.ა.ბ) მიზანი - სერჟანტთა ძირითადი სამეთაურო მომზადების პირველი საფეხურის პროგრამა დაწინაურებისათვის შერჩეულ უმცროსი სერჟანტთა წოდების მქონე სამხედრო მოსამსახურეებს აძლევს ცოდნას, რათა მათ განავითარონ შესაბამისი სამეთაურო და ტაქტიკურ-ტექნიკური უნარ-ჩვევები სერჟანტთა სამტატო თანამდებობებზე მოვალეობის შესასრულებლად;

ა.ა.გ) მიიღებიან - დაწინაურებისათვის შერჩეული უმცროსი სერჟანტის სამხედრო წოდების მქონე სამხედრო მოსამსახურეები, რომელთაც მიღებული აქვთ სერჟანტთა საწყისი სამხედრო განათლება.

შენიშვნა: პროგრამაზე ჩარიცხვის დამატებითი მოთხოვნები და პირობები რეგულირდება საქართველოს თავდაცვის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

ა.ბ) II ეტაპი - სერჟანტთა ძირითადი სამხედრო სააღრიცხვო სპეციალობის მიხედვით მომზადების პროგრამა:

ა.ბ.ა) ზოგადი მიმოხილვა:

სერჟანტთა ძირითადი სამხედრო სააღრიცხვო სპეციალობის მიხედვით მომზადების პირველი საფეხურის პროგრამები ტარდება შესაბამის სასწავლო ცენტრებში/სკოლებში და გულისხმობს სერჟანტთა სამტატო თანამდებობისთვის სამხედრო მოსამსახურეების სამხედრო სააღრიცხვო სპეციალობის მიხედვით სამხედრო პროფესიულ განათლებას;

ა.ბ.ბ) მიზანი - სერჟანტთა ძირითადი სამხედრო-სააღრიცხვო სპეციალობის მომზადების პირველი საფეხურის პროგრამები სამხედრო მოსამსახურეებს აძლევს ცოდნას, რათა მათ

საქართველოს თავდაცვის ძალების ქვედანაყოფებში, გვარეობების მიხედვით, შეძლონ სერჟანტთა საშტატო თანამდებობებზე მოვალეობის შესრულება;

ა.ბ.გ) მიიღებინ - უმცროსი სერჟანტის სამხედრო წოდების მქონე სამხედრო მოსამსახურეები, რომლებსაც გავლილი აქვთ სერჟანტთა ძირითადი სამეთაურო მომზადების პირველი საფეხურის პროგრამა.

შენიშვნა: პროგრამაზე ჩარიცხვის დამატებითი მოთხოვნები და პირობები რეგულირდება საქართველოს თავდაცვის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

ბ) სერჟანტთა ძირითადი სამხედრო განათლების II საფეხური:

ბ.ა) ზოგადი მიმოხილვა - სერჟანტთა ძირითადი სამეთაურო მომზადების მეორე საფეხურის პროგრამით განსაზღვრული კურსი ტარდება სერჟანტთა მომზადების ცენტრში და გულისხმობს უფროსი სერჟანტთა საშტატო თანამდებობისთვის სამხედრო მოსამსახურეების სამხედრო პროფესიულ განათლებას;

ბ.ბ) მიზანი - სერჟანტთა ძირითადი სამეთაურო მომზადების მეორე საფეხურის პროგრამით განსაზღვრული კურსი, დაწინაურებისათვის შერჩეულ სამხედრო მოსამსახურეებს აძლევს ცოდნას, რათა მათ შეძლონ ასეულის მართვის მხარდაჭერა და განავითარონ მეთაურობის (ლიდერობის) შესაბამისი უნარ-ჩვევები უფროსი სერჟანტთა საშტატო თანამდებობებზე მოვალეობის შესასრულებლად;

ბ.გ) მიიღებინ - დაწინაურებისათვის შერჩეული სერჟანტის სამხედრო წოდების მქონე სამხედრო მოსამსახურეები, რომელთაც გავლილი აქვთ სერჟანტთა ძირითადი სამეთაურო მომზადების პირველი საფეხურის პროგრამები.

შენიშვნა: პროგრამაზე ჩარიცხვის დამატებითი მოთხოვნები და პირობები რეგულირდება საქართველოს თავდაცვის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

ბრძანება N MOD 2 19 00000350 06.06.2019 ძალაშია ხელმოწერის დღიდან;

4. III დონე - სერჟანტთა შუალედური სამხედრო განათლება - სერჟანტთა შუალედური სამეთაურო მომზადების პროგრამა:

ა) ზოგადი მიმოხილვა - სერჟანტთა შუალედური სამეთაურო მომზადების პროგრამა ტარდება სერჟანტთა მომზადების ცენტრში და გულისხმობს მასტერ სერჟანტის/მთავარი (ბრიგადის) სერჟანტთა საშტატო თანამდებობისთვის სამხედრო მოსამსახურეების სამხედრო-პროფესიულ განათლებას;

ბ) მიზანი - სერჟანტთა შუალედური სამეთაურო მომზადების პროგრამა დაწინაურებისათვის შერჩეულ სამხედრო მოსამსახურეებს აძლევს ცოდნას, რათა მათ შეძლონ ბატალიონის/ბრიგადის მართვის მხარდაჭერა და განავითარონ მეთაურობის (ლიდერობის) შესაბამისი უნარ-ჩვევები, მასტერ სერჟანტთა და მთავარი (ბრიგადის) სერჟანტთა საშტატო თანამდებობებზე მოვალეობის შესასრულებლად;

გ) მიიღებინ - დაწინაურებისათვის შერჩეული უფროსი სერჟანტის და უფრო მაღალი სამხედრო წოდების მქონე სერჟანტები, რომელთაც გავლილი აქვთ სერჟანტთა ძირითადი სამხედრო განათლების II საფეხური.

ბრძანება N MOD 2 19 00000350 06.06.2019 ძალაშია ხელმოწერის დღიდან;

ბრძანება N MOD 5 20 00000973 31.12.2020 ძალაშია ხელმოწერის დღიდან;

5. IV დონე - სერჟანტთა უმაღლესი სამხედრო განათლება

ა) **ზოგადი მიმოხილვა** - სერჟანტთა უმაღლესი სამხედრო განათლებით განსაზღვრული კურსები გულისხმობს, მთავარ სერჟანტთა საშტატო თანამდებობისთვის (სარდლობის სერჟანტის) სამხედრო მოსამსახურეების პროფესიული განათლების მიღებას NATO-ს ქვეყნების შესაბამისი დონის კურსებზე;

ბ) **მიზანი** - სერჟანტთა უმაღლესი სამხედრო განათლებით განსაზღვრული კურსები სამხედრო მოსამსახურეებს აძლევს ცოდნას დაეუფლონ ოპერატიულ დონეზე მართვის მხარდაჭერის ხელოვნებას და სამხედრო ხელმძღვანელობას ორგანიზაციულ დონეზე;

გ) **მიიღებიან** - სამხედრო მოსამსახურეები მასტერ სერჟანტის და მთავარი სერჟანტის წოდებით, რომლებსაც გავლილი აქვთ სერჟანტთა შუალედური სამეთაურო მომზადების პროგრამა.

შენიშვნა:

1. სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებსაც არ აქვთ გავლილი სერჟანტთა შუალედური სამეთაურო მომზადების პროგრამა, მაგრამ დასრულებული აქვთ სერჟანტთა ძირითადი სამხედრო განათლების II საფეხური, 2025 წლის ჩათვლით მიეცეთ უფლება მონაწილეობა მიიღონ სერჟანტთა უმაღლეს სამხედრო განათლებით (IV დონე) განსაზღვრული კურსის შესარჩევ კონკურსში.

2. პროგრამაზე ჩარიცხვის დამატებითი მოთხოვნები და პირობები რეგულირდება საქართველოს თავდაცვის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

ბრძანება N MOD 2 19 00000350 06.06.2019 ძალაშია ხელმოწერის დღიდან;

ბრძანება N MOD 5 20 00000973 31.12.2020 ძალაშია ხელმოწერის დღიდან;

მუხლი 6. სერჟანტთა საგანმანათლებლო ცენტრი

სამხედრო განათლების სისტემა მოქმედებს საგანმანათლებლო პროცესში უწყვეტი სწავლების საფეხურებრივი პრინციპით და მოიცავს სერჟანტთა საწყის, ძირითად, შუალედურ და უმაღლეს სამხედრო განათლებას. საქართველოს სამხედრო საგანმანათლებლო დაწესებულებაში სამხედრო განათლების მიღება შესაძლებელია სწავლების დასრულებული ფორმით. სერჟანტთა სამხედრო განათლების მიღება დასტურდება მიმნიჭებელი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტით, რაც მოწმობს გარკვეული საგანმანათლებლო დონის მიღწევას. სამხედრო სფეროში განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს გასცემს სამხედრო საგანმანათლებლო დაწესებულება.

მუხლი 7. სერჟანტთა განათლება საზღვარგარეთ

საქართველოს თავდაცვის ძალების სერჟანტები, მომზადებისა და გადამზადების მიზნით შეიძლება გაიგზავნონ პარტნიორ ქვეყნებში არსებულ სასწავლო დაწესებულებებში, ამ კონცეფციის მე-5 მუხლით განსაზღვრულ, სერჟანტთა სამხედრო განათლების შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამებზე.

ბრძანება N MOD 2 19 00000350 06.06.2019 ძალაშია ხელმოწერის დღიდან;

მუხლი 8. დიპლომირება (სერტიფიცირება)

სამხედრო საგანმანათლებლო დაწესებულებებში შესაბამისი სასწავლო პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ მსმენელებს ეძლევათ დიპლომი/სერტიფიკატი, სამკერდე ნიშანი. სამკერდე ნიშნის, დიპლომის/სერტიფიკატის ფორმა და შინაარსი განისაზღვრება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

მუხლი 9. გარდამავალი დებულებები

2018-2025 წლების გარდამავალი პერიოდის განმავლობაში სერჟანტთა სხვადასხვა განათლების დონეებზე (საფეხურებზე/ეტაპებზე) გამონაკლისის წესით მიიღებიან მოთხოვნილზე უფრო მაღალი წოდების მქონე სამხედრო მოსამსახურეები, რომლებიც აკმაყოფილებენ ამ კონცეფციით დადგენილ სხვა შესაბამის მოთხოვნებს.

ბრძანება N MOD 5 20 00000973 31.12.2020 ძალაშია ხელმოწერის დღიდან;